MES 6 23 0000215909

23/02/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა
ქრისტინე ძიძიგური - სკოლის პრორექტორი, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი

შპს ჩირაღდანი
თინათინ ქობალია - სკოლის დირექტორი

შპს რუსთველი
ზაირა კიკნაველიძე - სკოლის დირექტორი
გიორგი კუნელაური - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა
დავით ლიპარტელიანი
ნანა მონიავა

შპს ჩირაღდანი
ლელა ფიცხელაური

შპს რუსთველი
თამარ მიდელაშვილი
ირინა დვალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 09 თებერვალს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ჩირაღდანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს რუსთველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა, კერძოდ, დღის წესრიგს დაემატებოდა ხუთი საკითხი, რომლებიც შეეხებოდა 2022 წლის საბჭოს სხდომის ხუთ ოქმში შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებას.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. წარმოდგენილი შუამდგომლობების გათვალისწინებით, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. 2022 წლის 11 მაისის N476118 საბჭოს სხდომის ოქმის მე-5 და მე-7 ნაწილებში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
2. 2022 წლის 11 ივლისის N786609 საბჭოს სხდომის ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
3. 2022 წლის 19 აგვისტოს N922694 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
4. 2022 წლის 03 ნოემბრის N1399585 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 და მე-4 ნაწილებში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;
5. 2022 წლის 19 დეკემბრის N1622423 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა;

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ჩირაღდანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს რუსთველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. 2022 წლის 11 მაისის N476118 საბჭოს სხდომის ოქმის მე-5 და მე-7 ნაწილებში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, 2022 წლის 11 მაისის N476118 საბჭოს სხდომის ოქმის მე-5 ნაწილის მიხედვით, საბჭოს გადაწყვეტილებით ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირს (ს/კ: 404378874) განესაზღვრა რეკომენდაცია, 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოეყვანა რამდენიმე საკითხი და წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ, თანამშრომელთა/პედაგოგების მიღების წესი, პროგრამების საფეხურეობრივად დაყოფის წესი, მეხუთე კლასის მეორე სემესტრამდე მოსწავლეების განმსაზღვრელი შეფასების არსებობა და დაწყებით საფეხურზე მოსწავლის კლასში ჩატოვების საკითხი. საბჭოს გადაწყვეტილებით, 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებამდე, აღნიშნული რეკომენდაციის არ შესრულების შემთხვევაში საბჭომ მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მყისიერი მონიტორინგის განხორციელების შუამდგომლობით. აღნიშნული საკითხების მოგვარების შემთხვევაში, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს 1 წლის ვადაში განხორციელებულიყო მონიტორინგი ავტორიზაციის იმ დროისთვის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო რეკომენდაციით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შესახებ ინფორმაცია და დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, 2022 წლის 11 მაისის N476118 საბჭოს სხდომის ოქმის მე-7 ნაწილის მიხედვით, საბჭომ მიმართა შუამდგომლობით ცენტრს, შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში (ს/კ: 245433865) ავტორიზაციის მინიჭებიდან 2 წლის განმავლობაში განხორციელებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით. თუმცა, 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებმაც ავტორიზაცია ამ კანონით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე გაიარეს, 2024 წლის 1 სექტემბრისთვის უნდა უზრუნველეყოთ თავიანთი საქმიანობის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა (იმავე კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ავტორიზაციის პირობების შემოწმებისას) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ შესაბამისად.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი შუამდგომლობდა საბჭოსთან აღნიშნულ დაწესებულებებში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2022 წლის 11 მაისის N476118 საბჭოს სხდომის ოქმის მე-5 და მე-7 ნაწილებში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის საფუძველზე, 2022 წლის 11 მაისის N476118 საბჭოს სხდომის ოქმის მე-5 და მე-7 ნაწილებში განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, „საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ განეხორციელებინა დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით“.

2. 2022 წლის 11 ივლისის N786609 საბჭოს სხდომის ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, 2022 წლის 11 ივლისის N786609 საბჭოს სხდომის ოქმის მე-2 ნაწილის მიხედვით, საბჭოს გადაწყვეტილებით, შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათს (ს/კ: 212274867) განესაზღვრა რეკომენდაცია, 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაწყებამდე ცენტრში წარმოედგინა იმ არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც იმ დროისთვის ირიცხებოდნენ სკოლაში. ასევე, საბჭო ითვალისწინებდა ექსპერტთა პოზიციას, იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა დაწესებულების მიერ ვიზიტის შემდეგ შემუშავებული ინდივიდუალურ გეგმებს გაცნობოდნენ და შეეფასებინათ, თუ როგორ ხორციელდებოდა ისინი მოსწავლეებთან მიმართებით. საბჭოს წევრების განმარტებით, ასევე, უნდა შეფასებულიყო დაწესებულების მიერ ინფრასტრუქტურის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ, მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ექსპერტების დამატებითი შესწავლის საგანი უნდა გამხდარიყო სკოლის ადამიანური რესურსიც, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა გეგმავდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი თანამშრომლის აყვანას და მასწავლებლებიც საჭიროებდნენ, ინდივიდუალური გეგმების შედგენასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით, პროფესიული განვითარების აქტივობებს. შესაბამისად, საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით მომდევნო სასწავლო წლის ბოლომდე განხორციელებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების მიხედვით. აქვე, ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ შესრულებული იყო რეკომენდაციით განსაზღვრული მოთხოვნები.

თუმცა, 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებმაც ავტორიზაცია ამ კანონით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე გაიარეს, 2024 წლის 1 სექტემბრისთვის უნდა უზრუნველეყოთ თავიანთი საქმიანობის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა (იმავე კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ავტორიზაციის პირობების შემოწმებისას) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი შუამდგომლობდა საბჭოსთან დაწესებულებებში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2022 წლის 11 ივლისის N786609 საბჭოს სხდომის ოქმის მე-2 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის საფუძველზე, 2022 წლის 11 ივლისის N786609 საბჭოს სხდომის ოქმის

მე-2 ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, „საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ განეხორციელებინა დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით“.

3. 2022 წლის 19 აგვისტოს N922694 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, 2022 წლის 19 აგვისტოს N922694 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილის მიხედვით, ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი)-თან (ს/კ: 204902203) დაკავშირებით საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, სკოლის საავტორიზაციო შეფასების პროცესში გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, 2023 წლის 15 ივნისამდე განხორციელებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სტანდარტების მიხედვით. თუმცა, 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებმაც ავტორიზაცია ამ კანონით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე გაიარეს, 2024 წლის 1 სექტემბრისთვის უნდა უზრუნველეყოთ თავიანთი საქმიანობის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა (იმავე კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ავტორიზაციის პირობების შემოწმებისას) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ შესაბამისად.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი შუამდგომლობდა საბჭოსთან დაწესებულებებში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2022 წლის 19 აგვისტოს N922694 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის საფუძველზე, 2022 წლის 19 აგვისტოს N922694 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, „საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ განეხორციელებინა დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით“.

4. 2022 წლის 03 ნოემბრის N1399585 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 და მე-4 ნაწილებში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, 2022 წლის 03 ნოემბრის N1399585 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 და მე-4 ნაწილების მიხედვით, საბჭო შუამდგომლობდა ცენტრთან შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ში (ს/კ: 216305200) და შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში (ს/კ: 211358449) 2023-2024 სასწავლო წელს განხორციელებულიყო მონიტორინგი ავტორიზაციის იმ დროისთვის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. თუმცა, 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებმაც ავტორიზაცია ამ კანონით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე გაიარეს, 2024 წლის 1 სექტემბრისთვის უნდა უზრუნველეყოთ თავიანთი საქმიანობის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა (იმავე კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ავტორიზაციის პირობების შემოწმებისას) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ შესაბამისად.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი შუამდგომლობდა საბჭოსთან დაწესებულებებში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2022 წლის 03 ნოემბრის N1399585 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 და მე-4 ნაწილებში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის საფუძველზე, 2022 წლის 03 ნოემბრის N1399585 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 და მე-4 ნაწილებში განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, „საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ განეხორციელებინა დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით“.

5. 2022 წლის 19 დეკემბრის N1622423 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, 2022 წლის 19 დეკემბრის N1622423 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილის მიხედვით, საბჭო შუამდგომლობდა ცენტრთან შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სასწავლებელში (ს/კ: 212815863) გონივრულ ვადაში, არაუგვიანეს 2024 წლის დასრულებისა, სკოლაში განხორციელებულიყო მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. თუმცა, 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებმაც ავტორიზაცია ამ კანონით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე გაიარეს, 2024 წლის 1 სექტემბრისთვის უნდა უზრუნველეყოთ თავიანთი საქმიანობის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა (იმავე კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ავტორიზაციის პირობების შემოწმებისას) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ შესაბამისად.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი შუამდგომლობდა საბჭოსთან დაწესებულებებში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2022 წლის 19 დეკემბრის N1622423 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში ცვლილების განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და 2022 წლის 30 მარტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლის საფუძველზე, 2022 წლის 19 დეკემბრის N1622423 საბჭოს სხდომის ოქმის მე-3 ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, „საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ განეხორციელებინა დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით“.

6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ლიპარტელიანმა და ნანა მონიავამ. ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 20 და 22 დეკემბერს. მისი განმარტებით, სკოლას ჰქონდა გამართული ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი შენობები და გამწვანება. დავით ლიპარტელიანის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის ერთ მისამართზე არსებული მიწის ფართი, რომელიც შეადგენდა 29684 კვ.მ-ს. ამავე დოკუმენტის მიხედვით, უზურფრუქტის ხელშეკრულებით, დაწესებულების საკუთრებაში იყო 30181 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 7 შენობა-ნაგებობა. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ვერ დადგინდა დაწესებულების მფლობელობაში არსებული

მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების ზუსტი ფართობი. ამავე დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულებას აღნიშნული ფართი გადაცემული ჰქონდა „უძრავი ქონების უზუფრუქტის ხელშეკრულებით“ 2026 წლის 22 ნოემბრამდე. ექსპერტის განმარტებით, ავტორიზაციის 6 წლით მინიჭების შემთხვევაში, წარმოდგენელი დოკუმენტების მიხედვით, დაწესებულება ვერ დაადასტურებდა ავტორიზაციის სრულ პერიოდზე ფართის ფლობას 2029 წლამდე.

ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში დაფიქსირდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამობა კანონის შესაბამისად მასწავლებლის შერჩევასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33[1] მუხლის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლებოდა დასაქმებულიყო სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად მისი ნასამართლეობის მოხსნისა თუ გაქარწყლებისა. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, გარდა სამი მასწავლებლისა, არ ჰქონდათ წარმოდგენილი ნასამართლეობის შესახებ ცნობები, რაც არ შეესაბამებოდა აღნიშნულ კანონს.

დავით ლიპარტელიანის თქმით, სკოლაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა კიდევ ერთი სტანდარტთან შეუსაბამობა გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ხელშეკრულებები კანონის სრული დაცვით დადებული ჰქონდა მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან, თუმცა სკოლას ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული საღვთო რჯულის მასწავლებელთან, რომელიც ამავდროულად წარმოადგენდა დაწესებულების ხელმძღვანელს. მან ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული შრომის ანაზღაურება. დავით ლიპარტელიანის განცხადებით, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია ხელშეკრულების შინაარსთან და მასში განსაზღვრულ პუნქტებთან დაკავშირებით, რათა ხელშეკრულებები მოყვანილი ყოფილიყო შრომის კოდექსთან შესაბამისობაში.

დავით ლიპარტელიანის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რათა დაწესებულებას შეფასების სისტემა მოეყვანა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში. ზოგიერთი საგნის მასწავლებლის შემთხვევაში შეფასების მინიმალური ზღვარი იყო 5 ქულა, ექსპერტები დაინტერესდნენ სხვა მასწავლებლების შეფასების სიტემით, თუმცა მსგავსი ფაქტი ფიქსირდებოდა მხოლოდ ერთი მასწავლებლის შემთხვევაში.

ექსპერტ, დავით ლიპარტელიანის განმარტებით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია, რომ ყველა პედაგოგს, შეფასების სისტემა მოეყვანა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემასთან და გამოეყენებინათ პრაქტიკაში.

დავით ლიპარტელიანის თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით გასცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია, რომ სკოლას ლაბორატორიაში დაემონტაჟებინა ექსპერიმენტების ჩასატარებლად სპეციალური ზედაპირის მქონე მაგიდა და გამწოვი. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰქონდა წიგნადი ფონდი, რომლის გადამოწმებაც ექსპერტთა მიერ მოხდა შემთხვევითობის პრინციპით და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე წიგნი არ იყო დამუშავებული ბიბლიოთეკის წესის შესაბამისად. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ყველა წიგნის შესაბამისად დასამუშავებლად.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, თუმცა მიეცა რეკომენდაცია, რომ ისეთი დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროებდა სხვადასხვა უწყებებთან შეთანხმებას, სკოლას შემუშავების ვალდებულების წარმოქმნიდან უმოკლეს ვადებში შეეთანხმებინა შესაბამის უწყებებთან.

დავით ლიპარტელიანის თქმით, სკოლის წესდებაში გაწერილი იყო დაწესებულების რექტორის ფუნქცია-მოვალეობები, მაგრამ არ იყო აღნიშნული რექტორზე დელეგირებული უფლებები, კერძოდ სხვადასხვა ბრძანების გამოცემის და კონკრეტული დოკუმენტების დამტკიცების უფლება, რადგან დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში ბრძანებებს გამოსცემდა რექტორი.

ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არ იყო სასმელი წყალი და სკოლას მიეცა რჩევა, რათა შენობა უზრუნველეყო წყლის დისპენსერებით, რომელსაც ექნებოდა დასკვნა მისი ვარგისიანობის შესახებ.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის შინაგანაწესში აღნიშნული იყო, რომ სკოლის პედაგოგები და ადმინისტრაციის წევრები სამსახურში მიიღებოდნენ კონკურსის წესით ან რექტორის გადაწყვეტილებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კონკურსს უძღვებოდა სკოლის რექტორი. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რჩევა, შეემუშავებინა თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და წახალისების ისეთი წესი, რომელშიც უფრო მკაფიოდ იქნებოდა გაწერილი ყველა ეტაპი დაინტერესებული პირებისთვის.

ექსპერტ, დავით ლიპარტელიანის განცხადებით, სკოლაში არ ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმმართველობა ან სხვა სახის კლუბი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, თუმცა ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ თითოეულ მოსწავლეს შეეძლო საკუთარი მოსაზრების ან ინიციატივის წარდგენა სკოლის ადმინისტრაციასთან. ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევა არაფორმალური განათლების გასააქტიურებლად.

ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ სკოლას თვითშეფასების მიხედვით ავტორიზაციის განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 202 მოსწავლეზე, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დაწესებულებას საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 127 მოსწავლისთვის. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ვიზიტის დროს სკოლაში აღმოჩნდა 167 მერხი. ექსპერტმა განმარტა, რომ თუ დაწესებულება წარმოადგენდა 40 მერხის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შესაძლებელი იქნებოდა გაზრდილიყო 167-მდე. ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლაში მოხდა ხანძარი და დაიკარგა ზოგიერთი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს ნამდვილად იყო თუ არა აღნიშნული 40 მერხი შენობაში და დაინტერესდა გახანგრძლივდა თუ არა შენობის ფლობის ხელშეკრულება 6 წლის ვადით, 2029 წლის 22 ნოემბრამდე. სკოლის პრორექტორმა, ქრისტინე ძიძიგურმა განაცხადა, რომ შენობის ფლობის დოკუმენტზე დაწესებულებამ მოახდინა რეაგირება, საქართველოს საპატრიარქომ მიმართა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რათა ქონების ფლობის ხელშეკრულება გახანგრძლივებულიყო 2035 წლამდე, ნაცვლად 2026 წლისა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე სააგენტოდან ელოდნენ პასუხს. სკოლის წარმომადგენელმა მერხებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ჩუქების ხელშეკრულებით მიღებული 40 მერხი, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული ჰქონდათ 202 მოსწავლე, თუმცა აღნიშნულ ეტაპზე იზიარებდნენ ექსპერტების მოსაზრებას 167 მოსწავლესთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გამოასწორა თუ არა დაწესებულებამ ხელშეკრულებებში არსებული ხარვეზები ხელფასთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლას არ ჰქონდა გამოსწორებული ხელფასების მითითების წესი ხელშეკრულებებში, თუმცა შრომის კოდექსის შესაბამისად გასცემდა ანაზღაურებებს.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულებით დადგენილი პირობები და შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა, რაშიც ცვლილებების

შეტანა ავტომატურად გულისხმობდა ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი იყო მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევა. მან, ასევე, კითხვით მიმართა ექსპერტებს, წარმოადგინა თუ არა დაწესებულებამ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ხანძრის დაფიქსირების შესახებ. ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ ვიზიტის განმავლობაში მსგავსი დოკუმენტაცია არ მოუთხოვიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ სად ფიქსირდებოდა დასაქმებულის საათობრივი დატვირთვა და ფუნქციები. სკოლის პრორექტორმა, ქრისტინე ძიძიგურმა განაცხადა, რომ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული აღნიშნული დატვირთვა და ფუნქციები, აღნიშნულს მასწავლებლები ეცნობოდნენ ზეპირი კომუნიკაციის ფორმით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში ანაზღაურების არ აღნიშვნა იყო მასწავლებლის უფლების უხეში დარღვევა და დაწესებულების ადამიანურ რესურსთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოქმედ კანონმდებლობასთან. ლაბორატორიის შემთხვევაში კი საფრთხე შეიძლებოდა შექმნოდა სკოლას და სასწავლო პროცესს. საბჭოს წევრმა, აქვე დასძინა, რომ მიუხედავად სკოლის თანამშრომლობითი მიდგომისა, დაწესებულება იყო ავტორიზაციის პროცედურისთვის მოუმზადებელი.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, იყვნენ თუ არა მასწავლებლები ინფორმირებულნი შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლაში შეფასების სიტემა იყო ათბალიანი. ქრისტინე ძიძიგურის განცხადებით, ერთ-ერთი პედაგოგი პატრიარქის ლოცვა-კურთხევის მიხედვით 5 ქულაზე ნაკლებს არ წერდა, თუმცა, მისი თქმით, სკოლაში შემუშავებული იყო ათბალიანი შეფასების სისტემა.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ სკოლის წარმომადგენლები ვიზიტის პერიოდში იზიარებდნენ ექსპერტების მოსაზრებებს და გამოთქვამდნენ თანამშრომლობისთვის მზაობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 167 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 167 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის

ზოგადსაგანმანათლებლოსკოლას (ს/კ: 235449813) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 167 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ მან ვერ დაინახა სკოლის პოტენციალი და მისი თქმით, სკოლის წარმომადგენლის პოზიცია საქმიანობის მიმართ იყო შეუსაბამო.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოვლენილ შეუსაბამობებს ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან 2 თვის ვადაში ცენტრში წარმოედგინა შენობის ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაწესებულებაში დასაქმებულ ადამიანურ რესურსთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებული გამწოვი კარადის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო-მასალა და 40 მოსწავლის მერხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გარდა ამისა, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ, მოქმედი ოთხი სტანდარტის მიხედვით.

7. შპს ჩირაღდანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11, 12 და 13 იანვარს. ექსპერტმა განმარტა, რომ შპს ჩირაღდანი ფუნქციონირებდა ქ. ზუგდიდში. სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე სამივე საფეხურზე. ექსპერტმა, აქვე დაამატა, რომ ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰყავდა მე-VIII კლასი, სკოლაში სწავლობდა 42 მოსწავლე, ხოლო დასაქმებული იყო 20 თანამშრომელი. მათ შორის 15 იყო მასწავლებელი. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა ძირითადად მცირერიცხოვანი იყო და თითოეულ კლასში განსაზღვრული იყო 1-15 მოსწავლემდე.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პროცესში სკოლაში აღმოჩნდა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შეუსაბამობა, რასაც ინტერვიუირების დროს სკოლის წარმომადგენლები უკავშირებდნენ პანდემიით გამოწვეულ პრობლემებს. აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაციები და რჩევები,

რომელთა ნაწილიც დაწესებულებამ გაითვალისწინა და გაასწორა ვიზიტის მიმდინარეობისას, ხოლო ნაწილთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს ცენტრში გამოაგზავნა რეკომენდაციების შესრულების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო-მასალა.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში eschool-ის ბაზის მიხედვით ირიცხებოდა ორი (მე-III და მე-X კლასებში) სსსმ მოსწავლე. მე-III კლასელი მოსწავლისთვის სკოლას ჯანმრთელობის ცნობის საფუძველზე მინიჭებული ჰქონდა სტატუსი, რაც არ შეესაბამებოდა მოქმედ რეგულაციებს. რაც შეეხებოდა მე-X კლასელ მოსწავლეს, ის სკოლაში მობილობის საფუძველზე იყო ჩარიცხული და სსსმ სტატუსი მინიჭებული ჰქონდა მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. აღნიშნულ მოსწავლესთან სკოლა მუშაობდა სტანდარტული მიდგომებითა და პროგრამით. შესაბამისად, არ იყო გათვალისწინებული მისი ინდივიდუალური საჭიროებები და სკოლა არ ხელმძღვანელობდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმითა და განხორციელებული აქტივობებით არ დაუდასტურდა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამით მუშაობა. შესაბამისად, აღნიშნული დაფიქსირდა როგორც ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამობა და დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაცია, გაეთვალისწინებინა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანება და სსსმ მოსწავლეებთან ემუშავა „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების“, აგრეთვე, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დანერგვის თაობაზე“ წესის შესაბამისად.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ სკოლა მეორე უცხო ენად მოსწავლეებს სთავაზობდა მხოლოდ რუსულ ენას, რომელიც უალტერნატივო იყო სკოლაში ბოლო წლების განმავლობაში. შესაბამისად, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია ეროვნული სასწავლო გეგმის 48-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად, სკოლას მოსწავლეებისათვის შეეთავაზებინა მინიმუმ ორი უცხო ენა, რომელთა შორისაც მოსწავლეები გააკეთებდნენ არჩევანს. ამავდროულად, ეწარმოებინა მეორე უცხო ენის სტატუსის მქონე შეთავაზებულ ენებს შორის არჩევანის გაკეთების ამსახველი დოკუმენტაცია, ან მეორე უცხო ენის სტატუსის მქონე ერთი უცხოური ენის სწავლების შემთხვევაში, აღნიშნული შესაბამისი დასაბუთებით შეეთანხმებინა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლაში არსებულ შეფასების სისტემაზე და განმარტა, რომ სასკოლო საზოგადოებასთნ გასაუბრებითა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ დაწყებით საფეხურზე, მოტივაციის ამაღლების მიზნით, პერიოდულად ხდებოდა მოსწავლეთა შეფასება ქულებით ან ღიმილებით (სტიკერებით),რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია დაეწყო მუშაობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის ემუშავა კომპლექსური დავალებებისა და განმავითარებელი შეფასების მიმართულებით. ასევე, ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის რეკომენდაცია, კერძოდ, სკოლას დაწყებით საფეხურზე გამოეყენებინა მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, მეტი აქცენტი გაკეთებულიყო განმავითარებელი შეფასების ეფექტურ სტრატეგიებზე.

ლელა ფიცხელაურის განცხადებით, მშობლებთან, პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მშობელი უზრუნველყოფილი იყო სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით, რაც ძირითადად გამოიხატებოდა აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიღებით. აქვე, მან დაამატა, რომ ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია, გაეზარდა მშობელთა ჩართულობა

სასკოლო ცხოვრებაში, წაეხალისებინა მშობლის ინტენსიური, მრავალმხრივი მონაწილეობა საკლასო, თუ სასკოლო ღონისძიებებში. ასევე, სკოლაში საჭიროებისამებრ ჩაეტარებინა მიზნობრივი კვლევები, რომლის ანალიზსაც დაეყრდნობოდა სამოქმედო გეგმის შემუშავება.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლის მესაკუთრესთან გაფორმებული იყო უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება (24.02.2012წ.) 10 წლის ვადით. ამდენად, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაცია გაფორმებულიყო უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეკრულება არანაკლებ ავტორიზაციის ვადით და შესულიყო შესაბამისი ცვლილებები საჯარო რეესტრის ამონაწერში. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს ცენტრში წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის მიხედვითაც მოხდა უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების დამოწმება 2023 წლის 12 იანვარს 10 წლის ვადით. შესაბამისად, ექსპერტის თქმით, აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ სასკოლო სივრცე არ იყო ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული არ შეესაბამებოდა სტანდარტით მოთხოვნილ პირობებს, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია შექმნილიყო სტანდარტის შესაბამისი ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სპორტული დარბაზი განთავსებული იყო შენობის პირველ სართულზე, რომელსაც ჰქონდა ეტლით მოსარგებლისთვის ადაპტირებული შესასვლელი. რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკასა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში იმ მომენტისთვის არ ჰყავდათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ისინი განთავსებული იყო მესამე სართულზე, თუმცა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ჩამოიტანეს შენობის პირველ სართულზე. ექსპერტმა, ასევე, განაცხადა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ იყო ქიმიური რეაქტივებისთვის განკუთვნილი საცავი, აგრეთვე ლაბორატორიული ცდებისა და რეაქციებისთვის წყალგაუმტარი და სადეზინფექციო საშუალებების, მჟავებს, ტუტეების, გამხსნელებისა და ზომიერად გაცხელების მიმართ მდგრადი ზედაპირის მქონე სადემონსტრაციო მაგიდა. შესაბამისად, ლაბორატორიაში შეფერხებული და საფრთხის შემცველი იყო სასწავლო ექსპერიმენტებისა და ცდების ჩატარება. თუმცა, ექსპერტმა დაამატა, რომ ლაბორატორიის პირველ სართულზე ჩამოტანის შემდეგ ის აღჭურვეს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად სველი წერტილითა და გამწოვით.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ სკოლას 2019 წლის 17 ივლისს მიღებული ჰქონდა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა №1048 კონკრეტული რეკომენდაციებით, რომლის შესრულების მაჩვენებელი და ვადები ვიზიტის დროს იყო დარღვეული. მაგალითად, დასამონტაჟებელი იყო სახანძრო სიგნალიზაცია, საევაკუაციო მანათობელი მანიშნებლები, ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა, ელექტრო სადენები გასაყვანი იყო უწვი საკაბელო არხების გამოყენებით, დასამონტაჟებელი იყო ავარიული განათება, მესამე სართულიდან მოსაწყობი იყო საევაკუაციო გასასვლელი, დასაგეგმი და განსახორციელებელი იყო საევაკუაციო წვრთნები. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლის შიდა კედლები გადატიხრული იყო ხის მასალით, რაც ამცირებდა ცეცხლმედეგობის ხარისხს და მოითხოვდა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურ დაცვას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი ჰქონდა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ფოტო-მასალა, რომლითაც დასტურდებოდა ელექტრო სადენების გაყვანა უწვი საკაბელო არხების გამოყენებით, ასევე, მოწყობილი იყო ავარიული განათება ყველა გასასვლელთან, ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით კი გაფორმებული იყო ხელშეკრულება შესაბამის სამსახურთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საკლასო ოთახებში არასაკმარისი ბუნებრივი განათების გამო ვიზიტის პერიოდში დამონტაჟდა დამატებითი განათების ნათურები.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ სველი წერტილები განლაგებული იყო სკოლის ეზოში, ერთი გოგონებისთვის და ერთი ვაჟებისთვის, ხოლო ერთი სველი წერტილი იყო

ადაპტირებული, რომლის მოპირკეთება და სტანდარტის შესაბამისად მოწყობა მიმდინარეობდა ვიზიტის პერიოდში. სველ წერტილებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, თუმცა არ იყო არც ბუნებრივი და არც ხელოვნური განათება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია საპირფარეშოებში უზრუნველეყო განათების შესაძლებლობა.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ სკოლაში სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფდა ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელსაც შეთავსებული ჰქონდა ექთნის ფუნქცია. აღნიშნულ პედაგოგს ჰქონდა ექიმის დიპლომი, თუმცა არა მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული პედიატრის, საოჯახო მედიცინის ან ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრის კვალიფიკაციის. აგრეთვე, სკოლის სამედიცინო კაბინეტი არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით მოთხოვნილ ნორმებს, ექსპერტთა ჯგუფმა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით გასცა რეკომენდაცია, გაეთვალისწინებინა და ემოქმედა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და პირველ სართულზე განათავსა სამედიცინო კაბინეტი, მოაწყო სველი წერტილი, თუმცა რეკომენდაციის ნაწილი რჩებოდა შესასრულებელი, რადგან კაბინეტი, სრულად არ იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლამ გამოაცხადა ექიმთან დაკავშირებით ვაკანსია.

რაც შეეხებოდა სპორტულ აქტივობებს, სპორტის სახეობებად საბაზო/საშუალო საფეხურზე სკოლას განსაზღვრული ჰქონდა მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი და მინი ფეხბურთი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა ღია სპორტული მოედანი. შენობის I სართულზე არსებულ ფართს დაწესებულება იყენებდა სპორტულ დარბაზად, ვიზიტის პერიოდში მოეწყო სპორტული დარბაზის გასახდელები, როგორც გოგონებისთვის, ასევე, ვაჟებისთვის.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ სკოლას სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიეცა რეკომენდაცია ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას დაეცვა პერსონალური მონაცემები, განეახლებინა ინფორმაცია და ხელმისაწვდომი გაეხადა სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები. ვებ-გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით განსაზღვრულიყო ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, მუდმივად ეზრუნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე და სასკოლო ინვენტარის განახლება/სრულყოფაზე.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლის ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული შრომის ანაზღაურების ოდენობა, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაცია, განსაზღვრულიყო შრომით ხელშეკრულებებში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგო. აგრეთვე, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რჩევა, არამხოლოდ მასწავლებლებისთვის, არამედ სკოლის სხვა თანამშრომლებისთვისაც შეემუშავებინათ პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენის, პასუხისმგებლობის გადანაწილების მიზნით წაეხალისებინა და მეტად შეეწყო ხელი სკოლაში არაფორმალურ განათლებას, არჩევითი ორგანოების თვითმმართველობის კლუბების, საინიციატივო ჯგუფების და სხვა დაარსება/ფუნქციონირებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად, დაწესებულებას ჰყავდა მასწავლებლებთან ერთად დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექთანი, ბიბლიოთეკარი, აქვე აღინიშნა, რომ როგორც სასწავლო, ასევე, ხშირ შემთხვევაში ტექნიკური ხასიათის მომსახურება

შეთავსებული ჰქონდათ დამფუძნებელსა და დირექტორს. ამდენად, სკოლას მიეცა რჩევა ეზრუნა ფუნქცია-მოვალეობების გონივრულ გადანაწილებაზე, მოეზიდა და დაესაქმებინა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები. აქვე, მან აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა დასუფთავებისა და დაცვის სამსახურში დასაქმებული ადამიანური რესურსი. აღნიშნულს ითავსებდნენ დამფუძნებელი და დირექტორი, დირექტორი ასევე იყო დაწყებითი საფეხურის პედაგოგი. ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები ინახებოდა სივრცეში, სადაც სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები ერთად იყრიდნენ თავს, ამრიგად სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით მოეხდინა ვიდეოკამერების ადმინისტრირება, ასევე, ეზრუნა დასუფთავების სამსახურის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობაზე შესაბამისი კადრების დასაქმებით.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა სსსმ მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებით, მოხსნილი ჰქონდა თუ არა აღნიშნულ მოსწავლეებს შესაბამისი სტატუსი. მე-III კლასელ მოსწავლესთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა, თინათინ ქობალიამ აღნიშნა, რომ არასწორად იყო მონიშნული. გამოიკვეთა, რომ მათ არ ჰქონდათ არც მშობლის დასტური და არც მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული მე-III კლასელი სსსმ პირის სტატუსი ვიზიტის პერიოდში მოხსნა ბაზიდან, მე-X კლასელ მოსწავლესთან მიმართებით კი ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან მოსწავლისთვის მუდმივად დგებოდა ინდივიდუალური გეგმა, თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ არ შეადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რადგან თვლიდა, რომ განსხვავებული პროგრამის შეთავაზება აღარ სჭირდებოდა აღნიშნულ მოსწავლეს. ასევე, ვერ მოხერხდა მშობელთან დაკავშირება, რომ მიემართათ მულტიდისციპლინური გუნდისთვის და მომხდარიყო მოსწავლის გადაფასება, ამრიგად მოსწავლეს დღემდე ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი ბაზაში. საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა მშობლისგან ინფორმირებული თანხმობა სკოლას, როდესაც მიანიჭეს სტატუსი ფორმა N100 საფუძველზე. სკოლის დირექტორმა, თინათინ ქობალიამ განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მშობელი არ იყო ინფორმირებული.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, იყო თუ არა დაწყებული სკოლის მხრიდან ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება. სკოლის დირექტორმა, თინათინ ქობალიამ განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობა უკვე დაწყებული იყო და ერთი თვის ვადაში იქნებოდა შესაძლებელი არსებული ხარვეზების სრულყოფილად აღმოფხვრა.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა გასცემდა თუ არა სკოლა მასწავლებლებისთვის ხელფასს ზაფხულის არდადეგების პერიოდში. სკოლის დირექტორმა, თინათინ ქობალიამ განმარტა, რომ მასწავლებლები ხელფასებს ივლისსა და აგვისტოში არ იღებდნენ. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნული იყო მასწავლებელთა შრომითი უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევა, ასევე, შრომის კოდექსის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდებოდა, როგორც საჯარო, ასევე, კერძო სკოლაზე. სკოლის დირექტორმა, თინათინ ქობალიამ გაიზიარა საბჭოს წევრის პოზიცია და აღნიშნა, რომ პანდემიის შემდგომ სკოლაში მოსწავლეთა კონტიგენტი შემცირებული იყო და სკოლას ფინანსური პრობლემები ჰქონდა.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, თუ ჰქონდა სკოლას შემუშავებული რაიმე სახის სტრატეგია მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდის მიმართულებით. სკოლის დირექტორმა, თინათინ ქობალიამ აღნიშნა, რომ მათ ამ მიმართულებით ჰქონდათ გეგმა შემუშავებული და პარალელურ რეჟიმში იწყებდნენ მუშაობას.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 150 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩირაღდანის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 20 თებერვლის N21 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2017 წლის 20 თებერვალს 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 20 თებერვალს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ჩირაღდანს (ს/კ: 220340183) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 20 თებერვალი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ცენტრში წარმოედგინა ექსპერტთა მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრისა და რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო-მასალა.

საბჭოს სხდომაზე 16:50 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა 17:00 საათზე განახლდა.

8. შპს რუსთველის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, თამარ მიდელაშვილმა და ირინა დვალმა. ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 15 და 16 დეკემბერს. დაწესებულება სწავლას ახორციელებდა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა მისიიდან. ექსპერტის თქმით, შეფასების სისტემა იყო სამკომპონენტიანი და ათქულიანი, რაც სრულად შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლაში მოქმედებდა შვიდი საგნობრივი კათედრა. დაწყებით საფეხურზე სკოლას ჰქონდა შეთავაზებული გახანგრძლივებული სწავლების სერვისი, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ოთხი წრე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა იყენებდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს, თუმცა აღნიშნული არ იყო შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლის შესაბამისად. ექსპერტის განმარტებით, შეთანხმების თაობაზე წერილი სკოლამ გააგზავნა ვიზიტის პერიოდში (კორესპონდენცია N1615837, 16.12.2022). გარდა ამისა, ექსპერტების მიერ გაცემული იქნა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია სასკოლო სასწავლო გეგმაში სემესტრული გამოცდის დანიშვნის ვადების შესწორების შესახებ ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა სასწავლო პროცესისთვის განსაზღვრული შესაბამისი ადამიანური რესურსი, მათ შორის, 10 მოწვეული მასწავლებელი, 2 მაძიებელი, 7 უსტატუსო და 30 უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებელი. სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების დებულება. ექსპერტების მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია მოწვეული მასწავლებლების თაობაზე. კერძოდ, ცეკვის მასწავლებელთან დაკავშირებით, რომელსაც ჰქონდა კვირეული 10 საათიანი დატვირთვა, გაფორმებულიყო უსტატუსო მასწავლებლის ხელშეკრულება და მატემატიკის მოწვეულ მასწავლებელთან დაკავშირებით, 17 საათიანი დატვირთვა შემცირებულიყო 9 საათამდე, ასევე, სკოლას გამოეცხადებინა ვაკანსიები 7 უსტატუსო და მათემატიკის მასწავლებლის შემცირებული საათების პოზიციებზე. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლამ განაახლა ვაკანსიები აღნიშნულ პოზიციებზე. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმართველობა, აქტიურად ხორციელდებოდა პროექტები და პროგრამები, რაც, ექსპერტის თქმით, გამოვლინდა მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა ისაუბრა სკოლაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ და აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ცვლილება შეეტანა სკოლის წესდებაში. კერძოდ, წესდებაში ასახულიყო პედსაბჭოს ფუნქციები და სამოქმედო გეგმის განხილვის და დამტკიცების პროცედურა.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლას 2028 წლამდე იჯარის ხელშეკრულებით აღებული ჰქონდა 1774 კვ.მ ფართი ქალაქ რუსთავში სააკაძის ქ. N3-ში. დაწესებულებას ჰქონდა 28 საკლასო ოთახი, დირექციის, თვითმართველობის, მუსიკის, სამასწავლებლოს ოთახები, 67,9 კვ.მ სივრცე სპორტული აქტივობებისთვის, შესაბამისი ინვენტარით. ექსპერტის განმარტებით, სკოლა

მორგებული იყო 350 მოსწავლის საჭიროებებს, თუმცა წარმოდგენილი ჰქონდა 750 მოსწავლის მერხის შესყიდვის დოკუმენტაცია. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, რომელიც ორი სივრცისგან შედგებოდა: სამკითხველო სივრცისა და წიგნების საცავისგან. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მრავალფეროვანი იყო და მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება ესარგებლათ ბიბლიოთეკის სერვისებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილი 15 პერსონალური კომპიუტერით. 6 კომპიუტერი განთავსებული იყო სხვადასხვა ოთახებსა და ბიბლიოთეკაში.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა განმარტა, რომ ადაპტირებული გარემო არ აკმაყოფილებდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის N732 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებს. აქვე, მან აღნიშნა, რომ სკოლაში იყო პანდუსები, თუმცა სველი წერტილის კარების ფართი არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, რომელიც გათვალისწინებული იყო დადგენილებით. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში სკოლამ დაიწყო აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის პროცესი და არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა დამადასტურებელი მასალები. ექსპერტმა ისაუბრა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებზე. მისი განმარტებით, სკოლას შემუშავებული და გადაგზავნილი ჰქონდა შესათანხმებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დოკუმენტი „საგანგებო სიტუაციების დროს ჩასატარებელი ღონისძიებების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების“ შესახებ. შენობაში საევაკუაციო გეგმის მიხედვით იყო განთავსებული ცეცხლმაქრები, თუმცა ექსპერტის განმარტებით, სკოლაში არ იყო აღმოფხვრილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები (N2036, 21.11.20199), კერძოდ: 1. სახანძრო სიგნალიზაციის მიმღებ-მაკონტროლებელი პუნქტის განთავსება სათავსოში, სადაც მიმდინარეობდა 24 საათიანი კონტროლი; 2. ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების და მორიგეს მოქმედების წესის გამოკვრა; 3. აღნიშნული სათავსოს აღჭურვა ხმამაღალი ან/და ხმამაღლა მოლაპარაკე კავშირის მოწყობილობით და არა ნაკლებ სამი ელექტრო ფარნით. ვიზიტის პერიოდში სკოლამ დაიწყო აღნიშნული ხარვეზების მოგვარება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობაში განთავსებული საევაკუაციო გეგმები არ იყო შემუშავებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ექსპერტმა, აგრეთვე აღნიშნა, რომ გათბობის ქვაბი განთავსებული იყო სკოლის შენობაში.

ექსპერტმა ისაუბრა ვიდეკამერების თაობაზე, კერძოდ, სკოლაში არსებული კამერები არ იძლეოდა შენობის სრული პერიმეტრის კონტროლის საშუალებას, რის საფუძველზეც ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია კამერების დამატების თაობაზე. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა 5 ვიდეოკამერის დამონტაჟების ფოტო-მასალა.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა განმარტა, რომ მიუხედავად სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტისა, სკოლას არ ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი. სკოლას ემსახურებოდა ექთანი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები და შეიმუშავა ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა ხარვეზების აღმოფხვრისა და პროცესების გაუმჯობესებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს საათობრივი ბადის სამინისტროსთან შეთანხმებასთან დაკავშირებით, თუ რა მიზეზით არ ჰქონდა სკოლას განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული მესამე მოდელის საათობრივი ბადე. სკოლის დირექტორმა, ზაირა კიკნაველიძემ აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა ინფორმაცია მესამე მოდელის საათობრივი ბადის სამინისტროსთან შეთანხმების აუცილებლობის თაობაზე. მან განმარტა, რომ შეთანხმების წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიგზავნა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე.

საბჭოს თავჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, თუ რა პროცესში იყო ადაპტირებული სველი წერტილის გამართვის საკითხი. სკოლის დირექტორმა, ზაირა კიკნაველიძემ განმარტა, რომ უმოკლეს ვადაში განხორციელდებოდა სველი წერტილის შესასვლელის გაფართოება 95 სმ-ით, რაც დასტურდებოდა მასალების შესყიდვის დოკუმენტაციით. მისი თქმით, აღნიშნული დოკუმენტაცია დაწესებულებას ცენტრში გაგზავნილი ჰქონდა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმების არსებობის თაობაზე. სკოლის განმარტებით, ხარვეზები აღმოიფხვრა 24 საათის განმავლობაში ვიზიტის დასრულების შემდეგ. სკოლამ განაახლა საევაკუაციო გეგმები, დაამონტაჟა სიგნალიზაცია, ხოლო არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა სიგნალიზაციის ჩუქების დამადასტურებელი ოქმი.

საბჭოს თავჯდომარე, დავით მალაზონია ასევე შეეხო გათბობის ქვაბის საკითხს. დირექტორის განმარტებით, სკოლამ გათბობის ქვაბი განათავსა აივანზე, შენობის უსაფრთხო ადგილზე.

საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ეტაპზე იყო ექიმის ვაკანსიის საკითხი. სკოლის დირექტორმა, ზაირა კიკნაველიძემ განმარტა, რომ სკოლამ კონკურსის შედეგად აიყვანა სასწრაფო დახმარების ექიმი, რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, გიორგი კუნელაურმა განმარტა, რომ სკოლამ შეიტანა შესწორება ცეკვის მასწავლებლის ხელშეკრულებაში უსტატუსო მასწავლებლის ჩანაწერით, ხოლო მათემატიკის მოწვეულ მასწავლებელთან დაკავშირებით სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია, თუმცა ვაკანტური ადგილი არ შევსებულა.

საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, თუ რა იყო სკოლის ვებ-გვერდის გაუმართაობის მიზეზი. სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა, გიორგი კუნელაურმა განმარტა, რომ ვებ-გვერდს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჰქონდა პრობლემა, თუმცა სკოლამ განაახლა საიტი და მიმდინარე პერიოდში მუშაობდა გამართულად, რაც დადასტურებული იქნა საბჭოს წევრის, ზვიად გოგუაძის მიერ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა დასვა შეკითხვა სკოლის პრაქტიკაში არსებული საკანონმდებლო სიახლეების, ცვლილებების, რესურსების მოძიების მექანიზმების თაობაზე. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, გიორგი კუნელაურმა განმარტა, რომ სისტემატიურად იყენებდა სკოლა განათლების და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდს სასწავლო რესურსების თვალსაზრისით. გარდა ამისა, სკოლა გეგმავდა ხელშეკრულების გაფორმებას იურისტთან. ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ახალგაზრდა, მოტივირებული კადრები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული სასკოლო ცხოვრებასა და განვითარების პროცესში.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ გამოთქვა მოსაზრება, მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ უმოკლეს ვადაში აღმოფხვრა ვიზიტის პერიოდში არსებული ყველა ხარვეზი, მიზანშეწონილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ორიენტირებული ყოფილიყო პრობლემების იდენტიფიცირებასა და დროულად მოგვარებაზე არამხოლოდ ავტორიზაციის მოპოვების პერიოდში, არამედ სისტემატიურად.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო

გარემოს შექმნა შეეძლოთ 350 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რუსთველის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს რუსთველს (ს/კ: 216392179) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:40 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა